კვების ჯაჭვი

დაბალი დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

ნათია გორგაძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი

2020 წელი

რას ნიშნავს
კვების ჯაჭვი

შინაარსი

ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებები 3

კვება 5

კვების ჯაჭვი 7

დასკვნა 8

ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებები

ორგანიზმი არის ყველა ცოცხალი არსება.

ორგანიზმებს გააჩნიათ სასიცოცხლო თვისებები. სასიცოცხლო თვისებებს შორისაა კვება.

შეგიძლია, დაასახელო ცოცხალი არსებები, ანუ ორგანიზმები?

შეგიძლია დაასახელო ცოცხალი არსებების ანუ ორგანიზმების სასიცოცხლო თვისებები?

სხვადასხვა ორგანიზმი სხვადასხვა-ნაირად იკვებება. საკვებს სხვადასხვა ორგანიზმი სხვადასხვანაირად მოიპოვებს.

კვება

როგორ ფიქრობ, რისთვის სჭირდებათ ორგანიზმებს კვება?

კვება ორგანიზმებს სჭირდებათ სასიცოცხლო ენერგიის მიღებისთვის. კვება ორგანიზმებს სჭირდებათ არსებობისა და განვითარებისათვის. ორგანიზმების კვება

ერთმანეთთან კავშირშია. ერთი ორგანიზ-მის არსებობა მეორე ორგანიზმის კვების-თვის არის საჭირო.

მცენარეები საკვებს არ მოიპოვებენ. ისინი გარემოსგან იღებენ ენერგიას და შემდეგ საკვებს თვითონ ქმნიან. მცენარისათვის გარემოა მზე, წყალი, ნიადაგი.

კვების ჯაჭვი

მცენარე თავად არის საკვები მრავალი ცოცხალი არსებისათვის, ანუ ორგა-ნიზმისათვის. ცოცხალი ორგანიზმები

საკვები ხდებიან სხვა ცოცხალი ორგანიზმებისთვის. კავშირს, რომელიც

მცენარეებს, ცხოველების, ფრინველების და ადამიანების საკვებს შორის არსებობს, კვების ჯაჭვი ეწოდება.

დასკვნა

გახსოვს, როგორია ჯაჭვი? ჯაჭვი ერთმანეთთან დაკავშირებული რგოლებისგან შედგება.

ზუსტად ასეა დაკავშირებული ერთმანეთთან მცენარეების, ცხოველების, ფრინველების და ადამიანების კვებაც. სწორედ ამიტომ ჰქვია მათ შორის არსებულ კვების კავშირს, კვების ჯაჭვი.